



ევროპულ სკოლაში სასწავლო  
პროცესის განმავლობაში  
ახალი კორონავირუსით გამოწვეული  
ინფექციის (SARS-CoV-2)  
პრევენციის მიზნით გასათვალისწინებელი  
ზოგადი რეგულაციები

პოლისი მოამზადა: იურისტი / შრომისა და უსაფრთხოების მენეჯერი  
პოლისი მომზადდა: აგვისტო, 2020

  
Sophio Bazadze  
Director





## სარჩევი

ევროპულ სკოლაში სასწავლო პროცესის განმავლობაში ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის (SARS-CoV-2) პრევენციის მიზნით გასათვალისწინებელი ზოგადი რეგულაციები .....	2
დანართი N1.....	11
დანართი N2.....	13
დანართი N3.....	14
მასწავლებელთა მიერ გასათვალისწინებელი რეგულაციები.....	15
მოსწავლის მიერ გასათვალისწინებელი რეგულაციები .....	19
მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ გასათვალისწინებელი რეგულაციები.....	20
ზოგადი რეკომენდაციები ევროპული სკოლაში ჩასატარებელი სპორტის გაკვეთილებისათვის	22
ზოგადი რეკომენდაციები ევროპული სკოლის ბიბლიოთეკისათვის .....	23
ზოგადი რეკომენდაციები ევროპული სკოლის სასადილოსათვის .....	24
დანართი N4.....	27

## ევროპულ სკოლაში სასწავლო პროცესის განმავლობაში ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის (SARS-CoV-2) პრევენციის მიზნით გასათვალისწინებელი ზოგადი რეგულაციები

შპს „ევროპულ სკოლაში“ (შემდგომში - ევროპული სკოლა) სასწავლო პროცესის განმავლობაში ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის (SARS-CoV-2) თავიდან არიდებისა და პრევენციის მიზნით გათვალისწინებულ და დაცულ იქნას შემდეგი სახის რეგულაციები:

1. ევროპული სკოლის მთელ ტერიტორიაზე თვალსაჩინო ადგილას განთავსებული უნდა იყოს განცხადებები COVID-19-ის პრევენციული ღონისძიებების შესახებ;
2. ევროპული სკოლის შესასვლელთან განთავსებული უნდა იყოს დეზობარიერი, სავალდებულო გამოყენების ნიშნის მითითებით;
3. ევროპული სკოლის შესასვლელთან უნდა განხორციელდეს თერმოსკრინინგი, რათა გაკონტროლდეს მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების, თანამშრომელთა და სკოლაში მომსვლელი ნებისმიერი ვიზიტორის ჯანმრთელობის მდგომარეობა, ტემპერატურის გაზომვით. თერმოსკრინინგის დროს დაფიქსირებული მაღალი ტემპერატურის ხელმეორედ გადამოწმების მიზნით, ევროპული სკოლის შესასვლელში უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი მოსაცდელი სივრცის არსებობა;
4. ევროპული სკოლის ტერიტორიაზე საიზოლაციო მიზნებისთვის გამოყენებული ოთახი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:
  - ოპტიმალური ბუნებრივი ვენტილაციით;
  - აღჭურვილი დასაჯდომი/მოსასვენებელი საშუალებებით (სკამი/სავარძელი/ტახტი);
  - ხელმისაწვდომი ხელის ჰიგიენის საშუალებები: ხელსაბანი ნიჟარა და თხევადი საპონი ან ხელის სანიტაიზერი;
  - ყოველი გამოყენების შემთხვევაში საიზოლაციო ოთახი უნდა დამუშავდეს სველი წესით.
5. მოსწავლეთა/პერსონალის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობის მიზნით, უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამედიცინო პუნქტის/კაბინეტის ფუნქციონირება წინამდებარე დოკუმენტის დანართი № 1 -ის შესაბამისად;
6. ხელის დეზინფექციისათვის არანაკლებ 70%-იანი ალკოჰოლის შემცველი ანტისეპტიკური საშუალებების დისპენსერები განთავსებული უნდა იყოს ევროპული სკოლის შესასვლელში, საერთო სარგებლობის სივრცეებთან (საიზოლაციო ოთახი, ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, სამასწავლებლო, სასადილო და სხვ.), თითო სართულზე არანაკლებ 2 ცალი (სასურველია დერეფნის შესასვლელებში). გათვალისწინებულ უნდა იქნას, რომ სანიტაიზერის დამაგრება არ არის საჭირო სანიტარიულ კვანძთან/საპირფარეშოსთან, რადგან ვირუსთან ბრძოლის პირობებში ხელების დაბანა წყლითა და საპნით უპირატესია;
7. ევროპულ სკოლაში შესვლა ნებისმიერი პირისათვის (გარდა ევროპული სკოლის მოსწავლეებისა) სავალდებულოა პირბადით, დეზობარიერის გავლით, თერმოსკრინინგისა და ხელის ჰიგიენის ჩატარების შემდეგ;
8. ევროპულ სკოლაში არსებული ხელის ჰიგიენის საშუალებები - ხელსაბანი ნიჟარა წყლით, თხევადი საპნით და ხელის გასამშრალელები ერთჯერადი საშუალებები, იყოს მუდმივად გამართულ მდგომარეობაში. ყველა შესაბამის სივრცეში გამოკრული უნდა იყოს ხელის ჰიგიენის წესების ამსახველი თვალსაჩინოებები;

9. ევროპულ სკოლაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს პირბადეების რეზერვის არსებობა;
10. სასწავლო ოთახები, ადმინისტრაციული სათავსები და საერთო სარგებლობის ფართები აღჭურვილი უნდა იყოს ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა ჰიგიენური ნარჩენებისთვის განკუთვნილი კონტეინერებით (დახურული კონტეინერებით, სატერფულით გახსნის შესაძლებლობით), რომლებშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პოლიეთილენის პარკი. ნარჩენების პარკი ამოღებულ და განკარგულ უნდა იქნეს ერთჯერადი ხელთათმანების გამოყენებით. უზრუნველყოფილი უნდა იყოს, ასევე, ნარჩენების დროული გატანა შესაბამისი პირის/სამსახურის მიერ;
11. სანიტარიული წერტილების სანიტარული დასუფთავება უნდა განხორციელდეს ყოველი დასვენების შემდეგ;
12. უზრუნველყოფილი უნდა იყოს სახელურების, ლიფტის ღილაკების, მოაჯირების და ხშირად გამოყენებული ზედაპირების სანიტარული დამუშავება (არაუმეტეს 3 საათიანი ინტერვალებით);
13. ევროპულ სკოლაში ერთზე მეტი ცვლის დაწესების შემთხვევაში, მომდევნო ცვლის დაწყებამდე გამოყენებულ უნდა იქნას არანაკლებ ნახევარსაათიანი შესვენება სასწავლო ოთახების და ევროპული სკოლის საერთო სარგებლობის ფართების სანიტარული დასუფთავებისა და განიავებისთვის;
14. ყოველი სასწავლო დღის შემდგომ უზრუნველყოფილი უნდა იყოს საერთო გამოყენების სივრცის სველი წესით დალაგება/სანიტარული დამუშავება „წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლაში - საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული რეკომენდაციის (გაიდლაინის) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 6 თებერვლის №01-40/ო ბრძანებით დამტკიცებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული რეკომენდაციის „წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლაში“ შესაბამისად და წინამდებარე დოკუმენტის დანართი №2-ით განსაზღვრული სარეკომენდაციო აღჭურვილობის გამოყენებით;
15. ევროპული სკოლის ტერიტორიაზე გასაწევი ეკონომიკური საქმიანობის (კვებით მომსახურება, არაფორმალური საგანმანათლებლო მომსახურება და სხვა) (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განმახორციელებელ პირს მოეთხოვება „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონა ვირუსის (COVID- 19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის №01-227/ო ბრძანების მოთხოვნათა უზრუნველყოფა;
16. სადეზინფექციო საშუალებების მარაგების შენახვა/დასაწყობება/გაცემაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს შესაბამისი პირი და ხელმისაწვდომი იყოს აღნიშნული პირისათვის შემდგომ განსაკარგავად. აღნიშნული სადეზინფექციო საშუალებების მარაგების შენახვა/დასაწყობება უნდა განხორციელდეს სპეციალურად გამოყოფილ სივრცეში ბუნებრივი ვენტილაციით. ბუნებრივი ვენტილაციის არარსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ხელოვნური ვენტილაციის მომატებული უწყვეტი რეჟიმი, გარე სივრციდან ჰაერის შემოტანით, ცირკულაციითა და გარეთ გატანით. ამასთან, უზრუნველყოფილი უნდა იყოს კონტროლი მათ გამართულ მუშაობაზე.

## **ევროპული სკოლის სივრცეში გადაადგილების რეგულირება**

1. ევროპული სკოლის შესასვლელი გამოიყენებულ უნდა იქნას თერმოსკრინინგის ჩასატარებლად;
2. ევროპული სკოლის შენობაში შესვლა მასწავლებლების, თანამშრომლებისა და ვიზიტორებისთვის

დასაშვებია მხოლოდ პირბადით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში სხვა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით - დამცავი ფარი/დამცავი სათვალეები, ბახილები, ხალათები;

3. პირი, რომელიც ახორციელებს თერმოსკრინინგს, ვალდებულია ეკეთოს პირბადე და იცავდეს 1 მეტრიან დისტანციას;

4. თერმოსკრინინგისას ცხელების -  $37^{\circ}\text{C}$  ან  $37^{\circ}\text{C}$  -ზე მეტი ტემპერატურის დაფიქსირების შემთხვევაში, პირი ექვემდებარება ტემპერატურის გადამოწმებას ვერცხლისწყლის თერმომეტრით 15 წუთიან შუალედში, სპეციალურად გამოყოფილ მოსაცდელ სივრცეში;

5. იმ შემთხვევაში თუ პირის სხეულის საშუალო ტემპერატურა შეადგენს  $37^{\circ}\text{C}$ -ს, იგი ვალდებულია სასწავლო პროცესის დაწყებამდე წარმოადგინოს აღნიშნულის დამადასტურებელი ექიმის მიერ გაცემული შესაბამისი ცნობა, რომლის საფუძველზეც მოხდება მისი დაშვება ევროპული სკოლის ტერიტორიაზე;

6. ვერცხლისწყლის თერმომეტრი სავალდებულოა დამუშავდეს სადეზინფექციო ხსნარით ყოველი გამოყენების შემდეგ;

7. სიცხის გადამოწმების შემდეგ  $37^{\circ}\text{C}$  ან  $37^{\circ}\text{C}$  -ზე მეტი ტემპერატურის დადასტურების შემთხვევაში:

- ნებისმიერი პირი არ დაიშვება სკოლაში და ვალდებულია მიმართოს ოჯახის ექიმს;
- მოსწავლეს უნდა მოერგოს პირბადე და განთავსდეს წინასწარ მომზადებულ საიზოლაციო ოთახში, დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს დაკავშირება მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან, რომელიც ვალდებულია მოსწავლის სკოლიდან დროულად გაყვანაზე;
- მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის გონივრულ ვადაში სკოლაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, ევროპული სკოლა უნდა დაუკავშირდეს 112-ს შესაბამისი სამედიცინო სერვისის მისაღებად, გადამისამართების მიზნით;
- საიზოლაციო ოთახში მყოფ ყველა პირს (მათ შორის, მოსწავლეს) უნდა ეკეთოს პირბადე, დაცული უნდა იყოს 1 მეტრიანი დისტანცია და მოსწავლეები არ უნდა რჩებოდნენ მეთვალყურეობის გარეშე;
- დაფიქსირებული ცხელების შემთხვევები უნდა აღირიცხოს შესაბამის ფორმაში, რომელიც დანართი N 3-ის სახით თან ერთვის წინამდებარე დოკუმენტს.

8. დღის განმავლობაში დაწესებულებაში მყოფი ნებისმიერი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში, გადამოწმებულ უნდა იქნეს ტემპერატურა და ამის შესაბამისად განისაზღვროს სამოქმედო გეგმა;

9. დაუშვებელია რესპირატორული ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომების მქონე (ხველა, ცემინება, სურდო, სუნთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე და ა.შ.) პირების (მასწავლებლების, თანამშრომლების და მოსწავლეების) დაშვება ევროპული სკოლის შენობაში;

10. რესპირატორული სიმპტომების (ხველა, ცემინება, სურდო, სუნთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე და ა.შ.) ან ცხელების სასწავლო პროცესის დროს გამოვლენის შემთხვევაში, მოსწავლე (პირბადით) დროებით გადაყვანილ უნდა იყოს საიზოლაციო ოთახში კანონიერი წარმომადგენლის მოსვლამდე. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის გონივრულ ვადაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, ევროპული სკოლა ვალდებულია დაუკავშირდეს 112-ს შესაბამისი სამედიცინო სერვისის მისაღებად გადამისამართების მიზნით;

11. ევროპულ სკოლაში მოსწავლის, მასწავლებლის, თანამშრომლის გამოუცხადებლობის შემთხვევაში ადმინისტრაცია/კლასის დამრიგებელი ვალდებულია, დაადგინოს და წერილობით დააფიქსიროს გაცდენის მიზეზი;

12. ევროპულ სკოლაში ცხელების, რესპირატორული სიმპტომების დაფიქსირების ყველა შემთხვევის შემდგომ მოსწავლეების, მასწავლებლებისა და თანამშრომლების ევროპულ სკოლაში დაშვება ხდება PCR ტესტირების დასკვნის საფუძველზე (COVID-19 -ით ინფიცირების არ არსებობის შემთხვევაში);

13. მოსწავლის/თანამშრომლის COVID-19-ით ინფიცირების დადასტურების შემთხვევაში, ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება, მათ შორის კონტაქტების მოძიებისა და კარანტინის/თვითიზოლაციის თაობაზე გადაწყვეტილებების მიღება ხდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურების რეკომენდაციების შესაბამისად.

### **ევროპულ სკოლაში სასწავლო პროცესის ორგანიზების რეგულირება**

1. წინასწარ განისაზღვროს მასწავლებლების, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა და ცვლაში მისაღები მოსწავლეების რაოდენობა ისე, რომ, როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული სწავლებისთვის განკუთვნილ სივრცეში უზრუნველყოფილი იყოს არანაკლებ 1 მეტრიანი დისტანციის დაცვა;
2. უზრუნველყოფილი იყოს მასწავლებელთა, ადმინისტრაციის წარმომადგენელთა და მოსწავლეთა სასწავლო პროცესში მონაწილეობა წინასწარ დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად (ასეთის საჭიროების შემთხვევაში);
3. საჭიროების შემთხვევაში, გამოყენებულ იქნას ცვლებში სწავლებისა და მუშაობის რეჟიმი. ყოველი ცვლის შემდგომ განხორციელდეს სანიტარიული შესვენება (განიავება, დასუფთავება სველი წესით - ნატრიუმის ჰიპოქლორიტით (0.1 %-ანი ხსნარით) დამუშავება) არანაკლებ ნახევარი საათისა;
4. მასწავლებლის მიერ აღრიცხვისათვის გამოყენებულ იქნას ელექტრონული საშუალებები;
5. დასვენებებზე ერთდროულად დიდი რაოდენობით მოსწავლეების თავმოყრის თავიდან აცილების მიზნით, უნდა დადგინდეს სწავლის დაწყების განსხვავებულ დროები ან/და საგაკვეთილო პროცესის ხანგრძლივობა;
6. მაქსიმალურად შეიზღუდოს ვიზიტორთა რაოდენობა სკოლის შენობაში. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ვიზიტების ზუსტი აღრიცხვა: ვიზიტორის საიდენტიფიკაციო ინფორმაციის (გვარი, სახელი, საკონტაქტო ტელეფონი), ვიზიტის დანიშნულების, შემოსვლისა და გასვლის დროის დაფიქსირებით;
7. მშობლებთან ან სხვა გარეშე პირებთან კომუნიკაციის დროს უპირატესობა უნდა მიენიჭოს დისტანციურ შეხვედრებს.

### **სავალდებულო დისტანცია მოსწავლეებს შორის საგაკვეთილო პროცესის დროს დახურულ და ღია სივრცეებში:**

1. საკლასო ოთახში, მაგიდების/მერხების განლაგება მიზანშეწონილია მოხდეს შემდეგი პრინციპით:
  - მაგიდები განლაგდეს იმგვარად, რომ მოსწავლეები არ ისხდნენ ერთმანეთის პირისპირ და მათ შორის დაცული იყოს დისტანცია არანაკლებ 1 მეტრისა;
  - მაგიდები განლაგდეს იმგვარად, რომ მოსწავლეები ისხდნენ ერთმანეთის პირისპირ, და მათ შორის დაცული იყოს დისტანცია არანაკლებ 2 მეტრისა;

2. საგაკვეთილო პროცესის დროს მასწავლებელი ვალდებულია ეკეთოს პირბადე იმ შემთხვევაში, თუ მაგიდები განლაგებულია იმგვარად, რომ მასსა და მოსწავლეებს შორის შეუძლებელია 2 მეტრიანი დისტანციის დაცვა.

## ევროპული სკოლის საერთო სივრცეებში გადაადგილების წესი

1. ევროპული სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეებში (მათ შორის, დერეფანი, კიბის უჯრედი, სამასწავლებლო და ა.შ.) ყოფნისა და გადაადგილებისას ყველა პირს (გარდა მოსწავლეებისა) უნდა ეკეთოს პირბადე, მათ შორის შესვენებების პერიოდში;
2. გაკვეთილებს შორის შესვენებები სხვადასხვა კლასის მოსწავლეებისთვის დაგეგმილი უნდა იყოს განსხვავებულ დროს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ევროპული სკოლის შენობის დაგეგმარება იძლევა სხვადასხვა კლასის მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სივრცეების ფიზიკურად გამიჯვნის შესაძლებლობას;
3. შესვენების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 10 წუთს;
4. შესაძლებელია ევროპული სკოლის ეზოებში/ღია სივრცეებში გაკვეთილების ორგანიზება, შესაბამისი დისტანციის დაცვით;
5. შეიზღუდოს მოსწავლეების მიერ საკლასო ოთახების ხშირი ცვლა ისე, რომ მოსწავლეები დარჩნენ ერთსა და იმავე ოთახში;
6. ერთი და იმავე ოთახში მოსწავლეთა სხვადასხვა ნაკადის გადაადგილებისას, დაცული უნდა იყოს 30 წუთიანი შუალედი, განიავდეს საკლასო ოთახი მაგიდები და საერთო გამოყენების ზედაპირები უნდა დამუშავდეს სადეზინფექციო ხსნარით;
7. ყოველი შესვენების დროს სავალდებულოა საკლასო ოთახის განიავება;
8. გაკვეთილის ჩასატარებლად ერთი საკლასო ოთახიდან მეორეში შესვლისას დაცული უნდა იყოს ხელის ჰიგიენა;
9. ფიზიკური აქტივობის/სპორტის გაკვეთილების ჩატარებისას დაცულ უნდა იქნეს „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონა ვირუსის (COVID- 19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის №01-227/ო ბრძანების №13 დანართის შესაბამისად - „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები პროფესიული სპორტის სხვადასხვა სახეობისთვის და სპორტული ღონისძიებებისთვის“ - ევროპული სკოლის მიერ შემუშავებული რეგულაციები.
10. ევროპული სკოლის მთელ ტერიტორიაზე დაცულ იქნეს ნაკადის (რიგები სასადილოში, შესასვლელში, სველ წერტილებთან, სპორტულ დარბაზებში, გასახდელეებში, ექიმის კაბინეტში და სხვ.) კონტროლი უსაფრთხო დისტანციის დაცვით (არა ნაკლებ 1 მ);
11. სასწავლო რესურსები და ნივთები, რომელთა დეზინფიცირება ან გასუფთავება ძნელია, ამოღებული უნდა იქნეს ხმარებიდან, მაგალითად, ქსოვილისგან დამზადებული თვალსაჩინოებები.

მასწავლებელმა მაქსიმალურად უნდა შეიკავოს თავი ჯგუფში მრავალჯერადად გამოსაყენებელი ნივთების ხმარებისგან, აუცილებლობის შემთხვევაში უნდა მიუთითოს, რომ ხელები დაიბანონ ან დაიმუშაონ მათ გამოყენებამდე და შემდგომ. სახელოვნებო ინსტრუმენტების გამოყენების შემდეგ უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი სველი წესით დასუფთავება ან დეზინფექცია.

### **რეკომენდაციები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან დაკავშირებით:**

1. განხორციელდეს ყველა იმ ზედაპირის დასუფთავება/დეზინფექცია, რომელთანაც შეხება უწევს სს სმ მოსწავლესა და მასთან მომუშავე სპეციალისტს/სპეციალისტებს (მოსწავლესთან მუშაობის პროცესში გამოყენებული ნებისმიერი დამხმარე და განმავითარებელი რესურსი, მათ შორის, ეტლი, ყავარჯენი, სათვალე და სხვა);
2. უზრუნველყოფილ იქნეს გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა ჰიგიენური ნარჩენებისთვის დახურული კონტეინერების განთავსება, რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პლასტიკური პაკეტი;
3. სსსმ მოსწავლესთან მუშაობის დროს სპეციალისტმა უნდა გამოიყენოს პირბადე, თუ სამუშაო მოითხოვს 1 მ-ზე ახლოს მიახლოვებას, ამასთან, ხელებით კონტაქტის საჭიროებისას კი გამოიყენოს ერთჯერადი ხელთათმანი;
4. სსსმ მოსწავლესთან მომუშავე სპეციალისტმა უნდა დაიცავას ჰიგიენის წესები სამუშაო ადგილზე, ასევე, დაეხმაროს სსსმ მოსწავლეებს ჰიგიენის წესების დაცვაში;
5. სსსმ მოსწავლესთან მომუშავე სპეციალისტი შეძლებისდაგვარად უნდა დაეხმაროს სსსმ მოსწავლეებს უსაფრთხო დისტანციის დაცვაში.

### **რეკომენდაციები კვების პროცესისადმი**

1. სკოლის სასადილოს ფუნქციონირება შესაძლებელია, თუ ის აკმაყოფილებს „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონა ვირუსის (COVID- 19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის №01-227/ო ბრძანების №17 დანართის შესაბამისად - „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები საზოგადოებრივი კვების ობიექტებისთვის“ - ევროპული სკოლის მიერ შემუშავებულ რეგულაციებს;
2. საკვების შესაძენად მოსწავლეთა გადაადგილების მაქსიმალურად შეზღუდვის მიზნით, რეკომენდირებულია საკვების კონტეინერით (ლანჩ-ბოქსით) ტარება;



3. მოსწავლეთა რიგში დგომისას აუცილებელია, რომ დაცულ იქნეს უსაფრთხო დისტანცია;
4. საკვების მიღების წინ დაცულ უნდა იქნეს ჰიგიენა წყლით და საპნით (საკვების მიღების წინ სანიტაიზერით ხელის დამუშავება არ არის რეკომენდირებული);
5. სასადილოში არსებული ყველა ონკანის გამართული მუშაობის რეჟიმი სრულად უნდა იქნეს დაცული;
6. სასადილოს შესასვლელთან ახლოს, შიდა სივრცეში ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფუნქციონირებისთვის გამართული ხელსაბანები.

### **დამატებითი ინსტრუქცია სანიტარიული კვანძის დასუფთავებისთვის**

1. წინასწარ განისაზღვროს საპირფარეშოების დასუფთავების წესი, პერიოდულობა, დასუფთავებისთვის განკუთვნილი ინვენტარისა და გამოყენებული ჰიგიენური საშუალებების ნუსხა;
2. სანიტარიული კვანძის დეზინფექციისთვის გამოიყენება მხოლოდ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ მიერ რეგისტრირებული საშუალებები (<https://www.ncdc.ge/Pages/User/News.aspx?ID=f70ca25e-e850-4deb-9d7d-8b058b934d2d>);
3. სანიტარიული კვანძის მოპირკეთებული ზედაპირების, უნიტაზების, ხელსაბანი ნიჟარების რეცხვა და დეზინფიცირება განხორციელდეს დაბინძურების შესაბამისად, მაგრამ არანაკლებ დღეში 2-ჯერ;
4. საწმენდი და სადეზინფექციო ინვენტარი გამოყენების შემდეგ უნდა გაირეცხოს და გაშრეს;
5. დამლაგებელი აღჭურვილი უნდა იყოს შემდეგი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით:
6. ხელთათმანები;
7. სახის ფარი;
8. წყალგაუმტარი წინსაფარი (რომელიც ყოველი გამოყენების შემდეგ დაექვემდებარება რეცხვასა და დეზინფიცირებას)/ ერთჯერადი წყალგაუმტარი ხალათი;
9. დასუფთავების დროს თავიდან უნდა იქნას აცილებული შხეფებისა და აეროზოლების წარმოქმნა;
10. დასუფთავების პროცედურების ჩატარების დასრულებისთანავე, ხელთათმანების გახდის შემდეგ, აუცილებლად დაცულ უნდა იქნეს ხელის ჰიგიენა;
11. სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის გამოსაყენებელი საყოფაცხოვრებო ქიმიური და სადეზინფექციო საშუალებები შეინახეთ სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსში/კარადაში, პირვანდელი/მწარმოებლის შეფუთვით, რათა შესაძლებელი იყოს დიფერენცირება მარკირების მიხედვით და არ იყოს ხელმისაწვდომი პირებისთვის;
12. უზრუნველყავით დასუფთავებისთვის გამოსაყენებელი საყოფაცხოვრებო ქიმიური და სადეზინფექციო საშუალებებისთვის განკუთვნილი საცავის ვენტილაციის შესაძლებლობა.

### **ვეროპული სკოლის სამედიცინო პერსონალის მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებაში**

13. ევროპული სკოლის დღის რეჟიმის შედგენა;
14. ზედამხედველობა მოსწავლეთა კვების ბლოკის სანიტარიულ-ჰიგიენურ მდგომარეობასა და საკვები პროდუქტების უსაფრთხოებაზე;
15. მუშაობა ცხოვრების ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და მშობლებს შორის;
16. ზედამხედველობა ევროპულ სკოლაში სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვაზე;
17. მეთვალყურეობა დასუფთავებასა და ჰიგიენური რეჟიმის უზრუნველყოფაზე;
18. მონაწილეობა ჰიგიენური განათლების პროგრამებში, ჰიგიენური უნარ-ჩვევების გამომუშავების ხელშემწყობ აქტივობებში.

### **თანამშრომლობის რგოლი: მოსწავლე, მშობელი და მასწავლებელი**

1. უზრუნველყოფილი უნდა იყოს ევროპულ სკოლებში საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება ხელის ჰიგიენის საკითხებზე. ამასთან, უწყვეტი საინფორმაციო კომუნიკაცია ხელის ჰიგიენის მნიშვნელობის შეხსენების შესახებ COVID-19 ვირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებლად;
2. მუდმივად უნდა განხორციელდეს ინფორმაციის მიწოდება მასწავლებლების, თანამშრომლებისა და მოსწავლეებისათვის SARS-COV2 ვირუსთან დაკავშირებული პრევენციული ღონისძიებების შესახებ (თვალსაჩინო ადგილას განთავსდეს ხელის ჰიგიენის, პირბადის ტარების, ხველის ეტიკეტისა და სხვა შემახსენებლები);
3. შეხვედრები მასწავლებლებთან, მშობლებთან უნდა წარიმართოს მაქსიმალურად დისტანციური სერვისების გამოყენებით.

### **სასმელი წყლის ხელმისაწვდომობა**

1. თითოეულ მოსწავლეზე უნდა გაიცეს საკუთარი, სუფთა და მარკირებული (სახელი, გვარი) წყლის ბოთლის სკოლაში ტარების რეკომენდაცია;
2. უზრუნველყოფილი უნდა იყოს დღის განმავლობაში მოსწავლის მიერ ბოთლის ხარისხიანი სასმელი წყლით შევსების შესაძლებლობა ონკანიდან, ჭიდან, სასმელი წყლის ავზიდან, დისპენსერიდან;
3. წყლის ბოთლი რეკომენდირებულია გაირეცხოს დაბინძურების შესაბამისად, მაგრამ არანაკლებ დღეში ერთხელ.
4. ევროპულ სკოლაში გაგრძელდეს წყლის მუდმივი ხელმისაწვდომობა სასმელად, პირადი ჰიგიენისათვის, საკვების მოსამზადებლად, დასუფთავებისა და რეცხვისათვის „წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლაში - საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული რეკომენდაციის (გაიდლაინის) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 6 თებერვლის №01-40/ო ბრძანებით დამტკიცებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული რეკომენდაციის „წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლაში“ შესაბამისად.

5. სათანადოდ აღჭურვილი წყალმომარების წერტილები, თხევადი საპონი და ხელის გასამშრალელები ერთჯერადი ხელსახოცები - ხელმისაწვდომი იყოს ყველა კრიტიკულ წერტილში, კონკრეტულად კი სველ წერტილებში და სამზარეულოში;
6. სათანადოდ აღჭურვილი სასმელი წყლის წერტილები - ხელმისაწვდომი იყოს მოსწავლეებისა და პერსონალისათვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის.

### **დასკვნითი დებულებები**

7. წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული წესების სრულად დაცვა სავალდებულოა ევროპული სკოლის მოსწავლეების/მათი კანონიერი წარმომადგენლებისა და ევროპული სკოლის თითოეული თანამშრომლის მიერ;
8. წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესაბამისად და გათვალისწინებით.
9. წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული რეგულაციების დაცვა სავალდებულოა ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებითა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ გაცემული რეკომენდაციების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში.

## დანართი N1

### **პირველადი სამედიცინო დახმარება და სამედიცინო კაბინეტის მოწყობის წესი**

ევროპული სკოლის სამედიცინო კაბინეტში უნდა იყოს გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისათვის აუცილებელი მინიმალური აღჭურვილობა და მედიკამენტები. გადაუდებელი შემთხვევის დროს სასწრაფო სამედიცინო მომსახურების ბრიგადის გამოძახებისა და მშობლების ინფორმირების უზრუნველყოფა ევროპული სკოლის მოვალეობაა. სასწრაფო სამედიცინო ბრიგადის მოსვლამდე სკოლის სამედიცინო პერსონალი უზრუნველყოფს ექიმამდელი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას.

კაბინეტში თვალსაჩინო ადგილას განთავსებული და ხელმისაწვდომი უნდა იყოს პირველი დახმარების ინსტრუქცია/პროტოკოლი.

### **გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო ფარმაცევტული საშუალებები და სამედიცინო დანიშნულების საგნები**

სამედიცინო კაბინეტის აღჭურვილობაში უნდა შედიოდეს:

- მაგიდა;
- ტახტი;

- სააფთიაქო კარადა;
- სამედიცინო სასწორი ;
- სიმაღლის საზომი;
- ხელის დინამომეტრი;
- თერმომეტრი;
- ტონომეტრი;
- ფონენდოსკოპი;
- გამადიდებელი ლუპა;
- რეზინის ლახტი;
- რეზინის სათბური;
- ბუშტი ყინულისათვის;
- სამედიცინო მაკრატელი;
- პინცეტი;
- ნიღაბი „პირით-პირში“ სუნთქვისთვის;
- საკაცე;
- მაცივარი.

#### **მედიკამენტები:**

- არანარკოტიკული ტკივილგამაყუჩებელი/არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო/სიცხის დამწვევი საშუალებები (პარაცეტამოლის, იბუპროფენის ტაბლეტები, სიროფი);
- ცენტრალური მოქმედების ტკივილგამაყუჩებელი საშუალებები (მაგ. კეტოროლაკი);
- ანტიჰისტამინური საშუალებები (მაგ., ქლორპირამინის ჰიდროქლორიდის ამპულები და ტაბლეტები, ლორატადინის, დესლორატადინის ტაბლეტები);
- ადგილობრივი მოქმედების ანთების საწინააღმდეგო და ტკივილგამაყუჩებელი საშუალებები (მაგ. დიკლოფენაკი);
- ღებინების საწინააღმდეგო საშუალება და კუჭ-ნაწლავის მოტორიკის სტიმულატორი (დომპერიდონი და სხვ. წვეთების ან სიროფის სახით);
- ანტიბრონქოსპაზმული საშუალებები (სალბუტამოლის ტაბლეტები, სიროფი, საინგალაციო პრეპარატები -ალბუტეროლი და სხვ.);
- სპაზმოლიზური საშუალებები (მაგ., ჰიოსცინ-ნ-ბუტილბრომიდი, დროტავერინი);
- რევიდრატაციული საშუალება, პერორალური ელექტროლიტების წყალში გასახსნელი პაკეტები;
- პროტონული ტუმბოს ინჰიბიტორი (მაგ. ომეპრაზოლი);
- დიარეის საწინააღმდეგო საშუალება (მაგ. დიოსმექტი);
- ანტაციდები (მაგ. ალუმინიუმის ფოსფატი);
- კორტიკოსტეროიდული საშუალება (დექსამეტაზონი, პრედნიზოლონი ამპულებში);
- მუკოლიზური და ხველის საწინააღმდეგო პრეპარატები (მაგ. ამბროქსოლის სიროფი და ტაბლეტები);
- ადგილობრივი გამოყენების ანთების საწინააღმდეგო პრეპარატები ფარინგიტის და ტონზილიტის დროს;
- ვალიდოლი (აბები), ვალერიანი (წვეთები);
- თვალის წვეთები - (მაგ., სულფაცეტამიდუმის 20% და 30 %-იანი ხსნარი)
- ცხვირის წვეთები, ნაზალური სპრეი

- ყურის წვეთები - (მაგ.,ლიდოკაინისა და ფენაზონის ნარევი, ქოლინსალიცილატი და სხვა)

**ანტისეპტიკური და შესახვევი საშუალებები:**

- თვალის ამოსარეცი ხსნარი;
- სამედიცინო სპირტი (96%-იანი);
- წყალბადის ზეჟანგი (3% ხსნარი);
- ბრილიანტის მწვანე (1%-იანი ან 2%-იანი სპირტხსნარი);
- იოდი (5%-იანი სპირტხსნარი);
- ბეტადინის ხსნარი ჭრილობის დასამუშავებლად;
- სხვადასხვა ზომის სტერილური საფენები;
- ბაქტერიოციდული პლასტიკები ჭრილობებისთვის;
- ჰიგროსკოპული ბამბა;
- ბინტები /სამედიცინო გადასახვევი მასალა;
- ერთჯერადი საინექციო შპრიცები;
- ერთჯერადი შპადელები;
- ერთჯერადი ხელთათმანები (არასტერილური).

\* იმ შემთხვევაში, როცა სამედიცინო მომსახურებას ახორციელებს საშუალო სამედიცინო პერსონალი (ექთანი), ზემოაღნიშნული ნუსხიდან, მიზანშეწონილია, ამოღებულ იქნეს დექსამეტაზონის, პრედნიზოლონის, სუპრასტინის ამპულები, სალბუტამოლი და დოპროკინი.

**დანართი N2**

**დასალაგებელი ინვენტარისა და საშუალებების სტანდარტული ჩამონათვალი**

1. ინვენტარის გადასადგილებელი საშუალება;
2. იატაკის საწმენდი ჯოხი - სველი დამუშავებისათვის;
3. ორგანყოფილებიანი სათლი: სუფთა წყალი/სარეცი საშუალებიანი სითხე;
4. აქანდაზი და ცოცხი;
5. ხელთათმანი და სათადარიგო ხელთათმანი;
6. მუშაბის წინსაფარი სანიტარიულ კვანძში ოპერირებისათვის;
7. ტილოები მ.შ. იატაკის, შუშისათვის და ავეჯისთვის;
8. საწმენდი ღრუბელი, ჯაგრისი, სახეხი (რბილი მეტალის სპირალი);
9. ჰაერის დეზოდორი;
10. ხის ავეჯის დასამუშავებელი (საჭიროების შემთხვევაში);
11. ტყავის ზედაპირების დასამუშავებელი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
12. სარეცი ფხვნილი (გამოიყენება მხოლოდ და მხოლოდ ტილოების გასარეცხად);
13. ზედაპირების სახეხი ფხვნილი ან კრემი;

14. სითხე იატაკის წმენდისა და გაპრიალებისათვის, მოპირკეთების ტიპის (ხე, მეტლახი, ლინოლეუმი და სხვ.);
15. უნიტაზის დასამუშავებელი სითხე;
16. შუშის საწმენდი;
17. ნიკელის, თითბრის და ლითონის სხვა ზედაპირების დასამუშავებელი საშუალება;
18. ტრაპების და კოლექტორების დასამუშავებელი საშუალება;
19. დიდი და პატარა ნაგვის პარკები;
20. სადეზინფექციო ხსნარი, დასალაგებელი ინვენტარის დასამუშავებლად, დასუფთავების პროცესის დამთავრების შემდეგ.

დანართი N3

მოსწავლეთა თერმოსკრინინგის აღრიცხვის ბარათი:

კლასი/მოსწავლის გვარი/სახელი	თარიღი	--- /--- /---	--- /--- /---	--- /--- /---	--- /--- /---
	T	T	T	T	T


### მასწავლებელთა მიერ გასათვალისწინებელი რეგულაციები

- ევროპულ სკოლაში შესვლა სავალდებულოა პირბადით, დეზობარიერის გავლით, თერმოსკრინინგისა და ხელის ჰიგიენის ჩატარების შემდეგ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში სხვა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით - დამცავი ფარი/დამცავი სათვალეები, ბახილები, ხალათები;
- დაიცავით ევროპულ სკოლაში დადგენილი და ჰიგიენის ზოგადი წესები;
- სრულად დაიცავით სასწავლო პროცესის განმავლობაში ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის (SARS-CoV-2) პრევენციის მიზნით ევროპული სკოლის მიერ შემუშავებული ზოგადი რეგულაციები;
- პერიოდულად დაიმუშავეთ ხელები სადეზინფექციო ხსნარით იმ შემთხვევაში, როცა ვერ ხერხდება ხელების დაბანა თხევადი საპნით და ერთჯერადი ხელსახოცით გაშრობა;



- დახველებისა და დაცემინების დროს მიიფარეთ სუფთა ხელსახოცი (რომელიც ერთჯერადი გამოყენების შემდეგ ექვემდებარება გადაგდებას) ან მოხრილი იდაყვი;
- სწავლების პერიოდში უზრუნველყავით თმის შეკვრა/მჭიდროდ დამაგრება, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს თმების სახის ზედაპირთან შეხება;
- არ გამოიყენოთ სხვისი ნივთები;
- მისალმებისას არ ჩამოართვათ ხელი ერთმანეთს და მოერიდეთ სხვა პირებთან კონტაქტს;
- მოერიდეთ თავშეყრას, დაიცავით რეკომენდაციით გათვალისწინებული სოციალური დისტანცია (არანაკლებ 2 მ);
- კარგად დაიბანეთ ხელები წყლითა და საპნით. დაბანის შემდგომ ხელები კარგად გაიმშრალეთ; იმ შემთხვევაში, თუ ვერ ახერხებთ ხელების წყლითა და საპნით დაბანას და გაშრობას, გამოიყენეთ 70%-იანი სპირტის შემცველი ხელის ანტისეპტიკური საშუალებები;
- დახველების და დაცემინების დროს მიიფარეთ სუფთა ერთჯერადი ხელსახოცი ან იდაყვში მოხრილი მხარი. გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცი კი გადაადგეთ ნარჩენებისთვის განკუთვნილ კონტეინერში/ურნაში;
- თავი შეიკავეთ ხელებით თვალებზე, ცხვირზე და პირზე შეხებისაგან. ვარჯიშის პერიოდში, ასევე, აუცილებელია თმის შეკვრა/მჭიდროდ დამაგრება, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს თმების სახის ზედაპირთან შეხება;
- საჭიროებიდან გამომდინარე, გამოიყენეთ ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა ჰიგიენური ნარჩენებისთვის განკუთვნილი კონტეინერებით (დახურული კონტეინერები, სატერფულით გახსნის შესაძლებლობით);
- დაუშვებელია რესპირატორული ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომების (ხველა, ცემინება, სურდო, სუნთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე და ა.შ.) არსებობისას ევროპული სკოლის შენობაში დაშვება;
- რესპირატორული სიმპტომების (ხველა, ცემინება, სურდო, სუნთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე და ა.შ.) ან ცხელების სასწავლო პროცესის დროს გამოვლენის შემთხვევაში, (პირბადით) დროებით გადაყვანილ იქნებით საიზოლაციო ოთახში და ევროპული სკოლა ვალდებულია დაუკავშირდეს 112-ს შესაბამისი სამედიცინო სერვისის მისაღებად გადამისამართების მიზნით;
- ევროპულ სკოლაში ცხელების, რესპირატორული სიმპტომების დაფიქსირების ყველა შემთხვევის შემდგომ ევროპულ სკოლაში დაშვება ხდება PCR ტესტირების დასკვნის საფუძველზე (COVID-19 -ით ინფიცირების არ არსებობის შემთხვევაში);
- ევროპულ სკოლაში მოსწავლის გამოუცხადებლობის შემთხვევაში ადმინისტრაცია/კლასის დამრიგებელი ვალდებულია, დაადგინოს და წერილობით დააფიქსიროს გაცდენის მიზეზი;
- წინასწარ განისაზღვროს ცვლაში მისაღები მოსწავლეების რაოდენობა ისე, რომ, როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული სწავლებისთვის განკუთვნილ სივრცეში უზრუნველყოფილი იყოს არანაკლებ 1 მეტრიანი დისტანციის დაცვა;
- გაითვალისწინეთ, რომ ყოველი ცვლის შემდგომ განხორციელდეს სანიტარიული შესვენება (განიავება, დასუფთავება სველი წესით - ნატრიუმის ჰიპოქლორიტით (0,1 %-ანი ხსნარით) დამუშავება) არანაკლებ ნახევარი საათისა;
- აღრიცხვისათვის გამოყენებულ იქნას ელექტრონული საშუალებები;
- დასვენებებზე ერთდროულად დიდი რაოდენობით მოსწავლეების თავმოყრის თავიდან აცილების მიზნით, უნდა დადგინდეს სწავლის დაწყების განსხვავებულ დროები ან/და საგაკვეთილო პროცესის ხანგრძლივობა;

- მშობლებთან ან სხვა გარეშე პირებთან კომუნიკაციის დროს უპირატესობა უნდა მიენიჭოს დისტანციურ შეხვედრებს.
- საკლასო ოთახში, მაგიდების/მერხების განლაგება მიზანშეწონილია მოხდეს შემდეგი პრინციპით:
  - მაგიდები განლაგდეს იმგვარად, რომ მოსწავლეები არ ისხდნენ ერთმანეთის პირისპირ და მათ შორის დაცული იყოს დისტანცია არანაკლებ 1 მეტრისა;
  - მაგიდები განლაგდეს იმგვარად, რომ მოსწავლეები ისხდნენ ერთმანეთის პირისპირ, და მათ შორის დაცული იყოს დისტანცია არანაკლებ 2 მეტრისა;
- საერთო სარგებლობის სივრცეებში (მათ შორის, დერეფანი, კიბის უჯრედი, სამასწავლებლო და ა.შ.) ყოფნისა და გადაადგილებისას სავალდებულოა პირბადის ტარება, მათ შორის შესვენებების პერიოდში; საგაკვეთილო პროცესის დროს მასწავლებელი ვალდებულია ეკეთოს პირბადე იმ შემთხვევაში, თუ მაგიდები განლაგებულია იმგვარად, რომ მასსა და მოსწავლეებს შორის შეუძლებელია 2 მეტრიანი დისტანციის დაცვა. ამასთან, პირბადის ტარების ვალდებულებისგან შესაძლებელია გათავისუფლდეს პირი, რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო (მათ შორის, ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების, ბრონქული ასთმის, სუნთქვის უკმარისობით მიმდინარე გულ-სისხლძარღვთა დაავადების, აუტისტური სპექტრის დარღვევის ან/და განვითარების ანომალიის ან დეფექტის გამო) უჭირს პირბადის ტარება, რაც დასტურდება სამედიცინო/ექიმის ცნობით და ასევე, პირი, რომელსაც პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას მის მიერ ამ საქმიანობის განხორციელების პროცესში პირბადის ტარება შეუძლებელია (მათ შორის, ლოგოპედი);
- საკვების მიღების წინ დაიცავით ჰიგიენა წყლით და საპნით (საკვების მიღების წინ სანიტაიზერით ხელის დამუშავება არ არის რეკომენდირებული);
- სავალდებულოა ევროპული სკოლის მიერ ხელის ჰიგიენასთან დაკავშირებით ორგანიზებულ საინფორმაციო შეხვედრებში მონაწილეობის მიღება;
- ევროპულ სკოლაში ერთზე მეტი ცვლის დაწესების შემთხვევაში, მომდევნო ცვლის დაწყებამდე გაითვალისწინეთ, რომ გამოყენებულ უნდა იქნას არანაკლებ ნახევარსაათიანი შესვენება სასწავლო ოთახების და ევროპული სკოლის საერთო სარგებლობის ფართების სანიტარიული დასუფთავებისა და განიავებისთვის;
- გაითვალისწინეთ, რომ სიცხის გადამოწმების შემდეგ 37°C ან 37°C -ზე მეტი ტემპერატურის დადასტურების შემთხვევაში:
  - ნებისმიერი პირი არ დაიშვება სკოლაში და ვალდებულია მიმართოს ოჯახის ექიმს;
  - მოსწავლეს უნდა მოერგოს პირბადე და განთავსდეს წინასწარ მომზადებულ საიზოლაციო ოთახში, დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს დაკავშირება მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან, რომელიც ვალდებულია მოსწავლის სკოლიდან დროულად გაყვანაზე;
  - მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის გონივრულ ვადაში სკოლაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, ევროპული სკოლა უნდა დაუკავშიდეს 112-ს შესაბამისი სამედიცინო სერვისის მისაღებად, გადამისამართების მიზნით;
  - საიზოლაციო ოთახში მყოფ ყველა პირს (მათ შორის, მოსწავლეს) უნდა ეკეთოს პირბადე, დაცული უნდა იყოს 1 მეტრიანი დისტანცია და მოსწავლეები არ უნდა რჩებოდნენ მეთვალყურეობის გარეშე;
  - დაფიქსირებული ცხელების შემთხვევები უნდა აღირიცხოს შესაბამის ფორმაში, რომელიც დანართი N 3-ის სახით თან ერთვის წინამდებარე დოკუმენტს.
  - იმ შემთხვევაში თუ მასწავლებლის სხეულის საშუალო ტემპერატურა შეადგენს 37° C-ს, იგი ვალდებულია სასწავლო პროცესის დაწყებამდე წარმოადგინოს აღნიშნულის დამადასტურებელი ექიმის მიერ გაცემული შესაბამისი ცნობა, რომლის საფუძველზეც მოხდება მისი დაშვება ევროპული სკოლის

ტერიტორიაზე;

➤ გაითვალისწინეთ, რომ:

- გაკვეთილებს შორის შესვენებები სხვადასხვა კლასის მოსწავლეებისთვის დაგეგმილი უნდა იყოს განსხვავებულ დროს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ევროპული სკოლის შენობის დაგეგმარება იძლევა სხვადასხვა კლასის მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სივრცეების ფიზიკურად გამოჯგნის შესაძლებლობას;

- შესვენების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 10 წუთს;

- შესაძლებელია ევროპული სკოლის ეზოებში/დია სივრცეებში გაკვეთილების ორგანიზება, შესაბამისი დისტანციის დაცვით;

- შეიზღუდოს მოსწავლეების მიერ საკლასო ოთახების ხშირი ცვლა ისე, რომ მოსწავლეები დარჩნენ ერთსა და იმავე ოთახში;

- ერთი და იმავე ოთახში მოსწავლეთა სხვადასხვა ნაკადის გადაადგილებისას, დაცული უნდა იყოს 30 წუთიანი შუალედი, განიავდეს საკლასო ოთახი მაგიდები და საერთო გამოყენების ზედაპირები უნდა დამუშავდეს სადეზინფექციო ხსნარით;

- ყოველი შესვენების დროს სავალდებულოა საკლასო ოთახის განიავება;

- გაკვეთილის ჩასატარებლად ერთი საკლასო ოთახიდან მეორეში შესვლისას დაცული უნდა იყოს ხელის ჰიგიენა;

- ფიზიკური აქტივობის/სპორტის გაკვეთილების ჩატარებისას დაცულ უნდა იქნეს „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონა ვირუსის (COVID- 19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის №01-227/ო ბრძანების №13 დანართის შესაბამისად - „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები პროფესიული სპორტის სხვადასხვა სახეობისთვის და სპორტული ღონისძიებებისთვის“ - ევროპული სკოლის მიერ შემუშავებული რეგულაციები.

- ევროპული სკოლის მთელ ტერიტორიაზე დაცულ იქნეს ნაკადის (რიგები სასადილოში, შესასვლელში, სველ წერტილებთან, სპორტულ დარბაზებში, გასახდელეებში, ექიმის კაბინეტში და სხვ.) კონტროლი უსაფრთხო დისტანციის დაცვით (არა ნაკლებ 1 მ);

- სასწავლო რესურსები და ნივთები, რომელთა დეზინფიცირება ან გასუფთავება ძნელია, ამოღებული უნდა იქნეს ხმარებიდან, მაგალითად, ქსოვილისგან დამზადებული თვალსაჩინოებები. მასწავლებელმა მაქსიმალურად უნდა შეიკავოს თავი ჯგუფში მრვალჯერადად გამოსაყენებელი ნივთების ხმარებისგან, აუცილებლობის შემთხვევაში უნდა მიუთითოს, რომ ხელები დაიბანონ ან დაიმუშაონ მათ გამოყენებამდე და შემდგომ. სახელოვნებო ინსტრუმენტების გამოყენების შემდეგ უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი სველი წესით დასუფთავება ან დეზინფექცია.

- სსსმ მოსწავლესთან მუშაობის დროს სპეციალისტმა უნდა გამოიყენოს პირბადე, თუ სამუშაო მოითხოვს 1 მ-ზე ახლოს მიახლოვებას, ამასთან, ხელებით კონტაქტის საჭიროებისას კი გამოიყენოს ერთჯერადი ხელთათმანი;

- სსსმ მოსწავლესთან მომუშავე სპეციალისტმა უნდა დაიცავას ჰიგიენის წესები სამუშაო ადგილზე, ასევე, დაეხმაროს სსსმ მოსწავლეებს ჰიგიენის წესების დაცვაში;

- სსსმ მოსწავლესთან მომუშავე სპეციალისტი შეძლებისდაგვარად უნდა დაეხმაროს სსსმ მოსწავლეებს უსაფრთხო დისტანციის დაცვაში.

➤ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში მიმართეთ ექიმს.

## მოსწავლის მიერ გასათვალისწინებელი რეგულაციები

- ევროპული სკოლის ტერიტორიაზე შესვლამდე გაიარეთ თერმოსკრინინგი დეზობარიერის გავლასა და ხელის ჰიგიენის ჩატარებასთან ერთად;
- იმ შემთხვევაში თუ მოსწავლის სხეულის საშუალო ტემპერატურა შეადგენს 37° C-ს, იგი ვალდებულია სასწავლო პროცესის დაწყებამდე წარმოადგინოს აღნიშნულის დამადასტურებელი ექიმის მიერ გაცემული შესაბამისი ცნობა, რომლის საფუძველზეც მოხდება მისი დაშვება ევროპული სკოლის ტერიტორიაზე;
- დაიცავით ევროპულ სკოლაში დადგენილი და ჰიგიენის ზოგადი წესები;
- სრულად დაიცავით სასწავლო პროცესის განმავლობაში ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის (SARS-CoV-2) პრევენციის მიზნით ევროპული სკოლის მიერ შემუშავებული რეგულაციები;
- პერიოდულად დაიმუშავეთ ხელები სადეზინფექციო ხსნარით იმ შემთხვევაში, როცა ვერ ხერხდება ხელების დაბანა თხევადი საპნით და ერთჯერადი ხელსახოცით გაშრობა;
- დაიბანეთ ხელები წყლითა და საპნით ხილული დაბინძურების შემთხვევაში ან ბიოლოგიური სითხეების მოხვედრისას;
- დახველებისა და დაცემინების დროს მიიფარეთ სუფთა ხელსახოცი (რომელიც ერთჯერადი გამოყენების შემდეგ ექვემდებარება გადაგდებას) ან მოხრილი იდაყვი;
- სწავლების პერიოდში უზრუნველყავით თმის შეკვრა/მჭიდროდ დამაგრება, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს თმების სახის ზედაპირთან შეხება;
- არ გამოიყენოთ სხვისი ნივთები;
- სავარჯიშო სივრცეში და ადგილზე დაიცავით ჰიგიენის წესები;
- მისალმებისას არ ჩამოართვათ ხელი ერთმანეთს და მოერიდეთ სხვა პირებთან კონტაქტს;
- მოერიდეთ თავშეყრას, დაიცავით რეკომენდაციით გათვალისწინებული სოციალური დისტანცია (არანაკლებ 2 მ);
- კარგად დაიბანეთ ხელები წყლითა და საპნით. დაბანის შემდგომ ხელები კარგად გაიმშრალეთ; იმ შემთხვევაში, თუ ვერ ახერხებთ ხელების წყლითა და საპნით დაბანას და გაშრობას, გამოიყენეთ 70%-იანი სპირტის შემცველი ხელის ანტისეპტიკური საშუალებები;
- დახველების და დაცემინების დროს მიიფარეთ სუფთა ერთჯერადი ხელსახოცი ან იდაყვში მოხრილი მხარი. გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცი კი გადაადგდეთ ნარჩენებისთვის განკუთვნილ კონტეინერში/ურნაში;
- თავი შეიკავეთ ხელებით თვალებზე, ცხვირზე და პირზე შეხებისაგან. ვარჯიშის პერიოდში, ასევე, აუცილებელია თმის შეკვრა/მჭიდროდ დამაგრება, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს თმების სახის ზედაპირთან შეხება;
- საჭიროებიდან გამომდინარე, გამოიყენეთ ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა ჰიგიენური ნარჩენებისთვის განკუთვნილი კონტეინერებით (დახურული კონტეინერები, სატერფულით გახსნის შესაძლებლობით);

- რესპირატორული სიმპტომების (ხველა, ცემინება, სურდო, სუნთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე და ა.შ.) ან ცხელების სასწავლო პროცესის დროს გამოვლენის შემთხვევაში, (პირბადით) დროებით გადაყვანილ იქნებით საიზოლაციო ოთახში კანონიერი წარმომადგენლის მოსვლამდე. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის გონივრულ ვადაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, ევროპული სკოლა ვალდებულია დაუკავშირდეს 112-ს შესაბამისი სამედიცინო სერვისის მისაღებად გადამისამართების მიზნით;
- ევროპულ სკოლაში ცხელების, რესპირატორული სიმპტომების დაფიქსირების ყველა შემთხვევის შემდგომ მოსწავლეების ევროპულ სკოლაში დაშვება ხდება PCR ტესტირების დასკვნის საფუძველზე (COVID-19 -ით ინფიცირების არ არსებობის შემთხვევაში);
- საკვების მიღების წინ დაიცავით ჰიგიენა წყლით და საპნით (საკვების მიღების წინ სანიტაიზერით ხელის დამუშავება არ არის რეკომენდირებული);
- რეკომენდირებულია საკვების კონტეინერით (ლანჩ-ბოქსით) ტარება და მისი გამოყენება;
- რეკომენდირებულია საკუთარი, სუფთა და მარკირებული (სახელი, გვარი) წყლის ბოთლის სკოლაში ტარება. წყლის ბოთლი რეკომენდირებულია გაირეცხოს დაბინძურების შესაბამისად, მაგრამ არანაკლებ დღეში ერთხელ;
- სასწავლო რესურსის (წიგნი, ფერადი ფანქრები, ფერადი ფურცლები და ა.შ) ევროპულ სკოლაში დატოვების შემთხვევაში, სავალდებულოა შესანახი კონტეინერების გამოყენება;
- სავალდებულოა ევროპული სკოლის მიერ ხელის ჰიგიენასთან დაკავშირებით ორგანიზებულ საინფორმაციო შეხვედრებში მონაწილეობის მიღება;
- ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში მიმართეთ ექიმს.

### მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ გასათვალისწინებელი რეგულაციები

- ევროპულ სკოლაში ვიზიტის შემთხვევაში სავალდებულოა პირბადით, დეზობარიერის გავლით, თერმოსკრინინგისა და ხელის ჰიგიენის ჩატარება, ხოლო საჭიროების შემთხვევაში სხვა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით - დამცავი ფარი/დამცავი სათვალები, ბახილები, ხალათები;
- სიცხის გადამოწმების შემდეგ  $37^{\circ} \text{C}$  ან  $37^{\circ} \text{C}$  -ზე მეტი ტემპერატურის დადასტურების შემთხვევაში ნებისმიერი პირი არ დაიშვება ევროპული სკოლის ტერიტორიაზე;
- იმ შემთხვევაში თუ მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ან მოსწავლის სხეულის საშუალო ტემპერატურა შეადგენს  $37^{\circ} \text{C}$  -ს, იგი ვალდებულია სასწავლო პროცესის დაწყებამდე წარმოადგინოს აღნიშნულის დამადასტურებელი ექიმის მიერ გაცემული შესაბამისი ცნობა, რომლის საფუძველზეც მოხდება მისი დაშვება ევროპული სკოლის ტერიტორიაზე;
- ცხელების/რესპირატორული დაავადების შემთხვევაში არ გაუშვით მოსწავლე ევროპულ სკოლაში;

- სახლის პირობებში მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში შეატყობინეთ კლასის დამრიგებელს;
- რეკომენდირებული მოსწავლის მიერ საკუთარი, სუფთა და მარკირებული (სახელი, გვარი) წყლის ბოთლის სკოლაში ტარება. წყლის ბოთლი რეკომენდირებულია გაირეცხოს დაბინძურების შესაბამისად, მაგრამ არანაკლებ დღეში ერთხელ;
- საკვების შესაძენად მოსწავლეთა გადაადგილების მაქსიმალურად შეზღუდვის მიზნით, რეკომენდირებულია საკვების კონტეინერით (ლანჩ-ბოქსით) ტარება და მისი გამოყენება;
- უზრუნველყავით მოსწავლის მიერ თმის შეკვრა/მჭიდროდ დამაგრება, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს თმების სახის ზედაპირთან შეხება;
- სასწავლო რესურსის (წიგნი, ფერადი ფანქრები, ფერადი ფურცლები და ა.შ) მოსწავლის მიერ ევროპულ სკოლაში დატოვების შემთხვევაში, სავალდებულოა შესანახი კონტეინერების გამოყენება;
- ცხელების ან სხვა რესპირატორული დაავადების სიმპტომების გამოვლენისას უზრუნველყავით ბავშვის მიმართვა ოჯახის ექიმთან, ან ცხელების ცენტრში, შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მისაღებად და PCR ტესტირების ჩასატარებლად;
- ევროპულ სკოლაში ცხელების, რესპირატორული სიმპტომების დაფიქსირების ყველა შემთხვევის შემდგომ მოსწავლეების, მასწავლებლებისა და სხვა თანამშრომლების ევროპულ სკოლაში დაშვება ხდება PCR ტესტირების დასკვნის საფუძველზე (COVID-19-ით ინფიცირების არ არსებობის შემთხვევაში);
- აწარმოეთ კომუნიკაცია ევროპული სკოლის მიერ ხელის ჰიგიენასთან დაკავშირებით ორგანიზებულ საინფორმაციო შეხვედრებთან დაკავშირებით;
- შეხვედრები მასწავლებლებთან, ევროპული სკოლის ადმინისტრაციასთან წარმართეთ მაქსიმალურად დისტანციური სერვისების გამოყენებით;
- დაუშვებელია რესპირატორული ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომების შემთხვევაში (ხველა, ცემინება, სურდო, სუნთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე და ა.შ.) დაშვება ევროპული სკოლის ტერიტორიაზე;
- რესპირატორული სიმპტომების (ხველა, ცემინება, სურდო, სუნთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე და ა.შ.) ან ცხელების სასწავლო პროცესის დროს გამოვლენის შემთხვევაში, მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია გამოცხადდეს ევროპულ სკოლაში შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან უმოკლეს დროში. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის გონივრულ ვადაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, ევროპული სკოლა ვალდებულია დაუკავშირდეს 112-ს შესაბამისი სამედიცინო სერვისის მისაღებად გადამისამართების მიზნით;
- სკოლაში მოსწავლის გამოუცხადებლობის შემთხვევაში მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია აცნობოს ადმინისტრაციას/კლასის დამრიგებელს და დააფიქსიროს გაცდენის მიზეზი;
- სრულად დაიცავით ევროპული სკოლის მიერ შემუშავებული სასწავლო პროცესის განმავლობაში ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის (SARS-CoV-2) პრევენციის მიზნით რეგულაციები.

## ზოგადი რეკომენდაციები ევროპული სკოლაში ჩასატარებელი სპორტის გაკვეთილებისათვის

- ყოველი გაკვეთილის ბოლოს უნდა უზრუნველყოთ სავარჯიშო სივრცის სველი წესით დალაგება და დეზინფექცია;
- ყოველი დასუფთავებისა და დეზინფექციის შემდეგ უნდა ჩატარდეს დახურული სივრცეების განიავება გაღებული ფანჯრებისა და კარების პირობებში, „ორპირი ქარის“ პრინციპით;
- თვალსაჩინო და ხელმისაწვდომ ადგილას უნდა განთავსოთ ხელის ჰიგიენის საშუალებები და მათი სწორად მოხმარების წესები;
- საგაკვეთილო პროცესი ღია სივრცეში უნდა განხორციელდეს ჩართულ პირთა 2 მეტრიანი დისტანციის დაცვით;
- საგაკვეთილო პროცესი დახურულ სივრცეში უნდა განხორციელდეს 2 მეტრიანი დისტანციის დაცვით, ერთდროულად არაუმეტეს 5 პირისა;
- ვარჯიშზე მოსწავლეები და სხვა ჩართული პირები უნდა გამოცხადდნენ სავარჯიშო ფორმით;
- უშუალოდ სავარჯიშო სივრცეში შესვლის წინ ყველა პირისთვის (მოსწავლე, მასწავლებელი და ა.შ.) სავალდებულოა ხელის ჰიგიენის ჩატარება (ხელის დაბანა გამდინარე წყლითა და საპნით და ხელების დამუშავება დეზინფექტანტის საშუალებით);
- დაუშვებელია საერთო სარგებლობის გასახდელების ან/და საშხაპე სივრცეების გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ საშხაპე კაბინები არ არის იზოლირებული ერთმანეთისგან სპეციალური გამყოფი კიდეებით/ბარიერებით, ხოლო გასახდელებში არ არის თითოეული მოსწავლისათვის განკუთვნილი ინდივიდუალური კარადები და ინდივიდუალურ სივრცეებს შორის არ არის უზრუნველყოფილი მინიმუმ 2 მეტრიანი დისტანცია;
- საგაკვეთილო პროცესში აკრძალულია საერთო სპორტული ინვენტარის გამოყენება, გარდა სპორტის სახეობის სპეციფიკიდან გამომდინარე აუცილებლობისა (მაგ., ბურთი, ბატუტი, ტურნიკი და ა.შ.);
- სპორტის გაკვეთილის დასრულების შემდეგ უნდა მოხდეს სპორტული ინვენტარისა და სავარჯიშო სივრცის სრული დეზინფექცია, ხოლო ვარჯიშში ჩართულმა პირებმა ჩაიტარონ ხელების ჰიგიენა;
- დახურულ და ღია სივრცეში ვარჯიშის პროცესში ხელმისაწვდომი უნდა იყოს ხელების სადეზინფექციო საშუალებები, ხოლო დახურულ სივრცეში მოსწავლის (რომელიც უშუალოდ ჩართულია საგაკვეთილო პროცესში/ვარჯიშში) გარდა სხვა პირებს უნდა ეკეთოდ პირბადე.

### დამატებითი მოთხოვნები დახურული სივრცეებისთვის

- დახურული სივრცის შესასვლელში უნდა განთავსდეს დეზობარიერი, რომელიც დეზინფექტანტით რეგულარულად უნდა განახლდეს;
- პერიოდულად უნდა ჩატარდეს სანიტარული შესვენებები;
- უნდა უზრუნველყოთ სავარჯიშო პროცესში ბუნებრივი ვენტილაციის უწყვეტი რეჟიმი. ბუნებრივი ვენტილაციის შეუძლებლობის შემთხვევაში უნდა უზრუნველყოთ უსაფრთხო ვენტილაცია გარედან შემოსული ჰაერით:

  - გადართეთ ვენტილაცია ნომინალურ სიჩქარეზე;
  - არ გამორთოთ ვენტილაცია და არასამუშაო საათებში ამუშავეთ ყველაზე მინიმალური სიჩქარით;

- სანიტარიულ კვანძებში დატოვით ჩართული ვენტილაცია 24/7 რეჟიმში;
- სანიტარულ კვანძებში გამორიცხეთ ფანჯრების გაღება, რათა უზრუნველყოთ ჰაერის ნაკადის სწორი მიმართვა;
- უზრუნველყავით სივრცის დროული დასუფთავება და ნარჩენების დროული გატანა;
- დარბაზის/სივრცის შესასვლელში განათავსეთ ხელის ანტისეპტიკური საშუალებები;
- ყოველი სამუშაო დღის შემდგომ უზრუნველყავით საერთო გამოყენების სივრცის სველი წესით დალაგება/დეზინფექცია.

### მოსწავლეებისა და პერსონალის ვალდებულებები

- ვარჯიში განახორციელეთ რეკომენდაციების შესაბამისად;
- სავარჯიშო სივრცეში და ადგილზე დაიცავით ჰიგიენის წესები;
- მისალმებისას არ ჩამოართვათ ხელი ერთმანეთს და მოერიდეთ სხვა პირებთან კონტაქტს;
- მოერიდეთ თავშეყრას, დაიცავით რეკომენდაციით გათვალისწინებული სოციალური დისტანცია (არანაკლებ 2 მ);
- საერთო სარგებლობის სივრცეებში (გარდა სავარჯიშო სივრცეებისა) ნიღბების ტარება სავალდებულოა;
- ვარჯიშის დაწყებისა და დამთავრებისას სადეზინფექციო საშუალებებით დაასუფთავეთ სავარჯიშო/სათამაშო სივრცეები და ის ინვენტარი, რომელსაც იყენებენ ვარჯიშის პროცესის მიმდინარეობისას;
- კარგად დაიბანეთ ხელები წყლითა და საპნით. დაბანის შემდგომ ხელები კარგად გაიმშრალეთ; იმ შემთხვევაში, თუ ვერ ახერხებთ ხელების წყლითა და საპნით დაბანას და გაშრობას, გამოიყენეთ 70%-იანი სპირტის შემცველი ხელის ანტისეპტიკური საშუალებები;
- დახველების და დაცემინების დროს მიიფარეთ სუფთა ერთჯერადი ხელსახოცი ან იდაყვში მოხრილი მხარი. გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცი კი გადაადგეთ ნარჩენებისთვის განკუთვნილ კონტეინერში/ურნაში;
- თავი შეიკავეთ ხელებით თვალებზე, ცხვირზე და პირზე შეხებისაგან, ვარჯიშის პერიოდში სასურველია თმის შეკვრა/მჭიდროდ დამაგრება, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს თმების სახის ზედაპირთან შეხება; უზრუნველყავით სავარჯიშო/სამუეჯიბრო სივრცის დროული დასუფთავება და ნარჩენების დროული გატანა;
- ყოველი დღის შემდგომ უზრუნველყავით სივრცის სველი წესით დალაგება/დეზინფექცია.

### ზოგადი რეკომენდაციები ევროპული სკოლის ბიბლიოთეკისათვის

- წიგნების/დოკუმენტების გამცემი პირი აღჭურვილი უნდა იყოს ხელთათმანებით;



- უზრუნველყავით ვიზიტორთა განთავსება მაგიდებთან წინასწარ განსაზღვრულ ადგილებზე, იმგვარად, რომ დაცული იყოს უსაფრთხო დისტანცია (არანაკლებ 2მ). შეგიძლიათ გამოიყენოთ ადგილების მარკირება;
- აკრძალეთ ჯგუფური მუშაობის პრინციპი;
- უზრუნველყავით კომპიუტერისა და მისი აქსესუარების დამუშავება სადეზინფექციო ხსნარებით ყოველი გამოყენების შემდეგ;
- ყველა სამუშაო ავეჯი გამოყენების შემდეგ დაამუშავეთ სადეზინფექციო ხსნარითა და მშრალი ხელსახოცით;
- დარბაზის შესასვლელში უზრუნველყავით ხელის სადეზინფექციო არანაკლებ 70% ალკოჰოლის შემცველი ხსნარისა და გამოყენების წესების განთავსება (დარბაზის დროებით დატოვების შემდეგ დაბრუნებისას აუცილებელია სადეზინფექციო ხსნარის გამოყენება);
- გამოყავით პირი, რომელიც კონტროლს გაუწევს რეკომენდაციების დაცვას სამკლითხველო დარბაზში.

**პერსონალისა და ვიზიტორთა ვალდებულებები:**

***ხელის ჰიგიენის რეგულარულად და საფუძვლიანად შესრულება წარმოადგენს უმეტესი ვირუსისგან თავის დაცვის საუკეთესო საშუალებას.***

- დაიცავით ჰიგიენის წესები;
- მისალმებისას არ ჩამოართვათ ხელი ერთმანეთს და მოერიდეთ სხვებთან კონტაქტს (შეხებას და სხვა);
- მოერიდეთ თავშეყრას, დაიცავით რეკომენდაცია უსაფრთხო დისტანციის დაცვის (არანაკლებ 2 მ) შესახებ;
- სამუშაოების შესრულებისას გამოიყენეთ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები;
- სამუშაოს დაწყებისა და დამთავრებისას სადეზინფექციო საშუალებებით დაასუფთავეთ სამუშაო ადგილები და ის ხელსაწყოები, რომელსაც იყენებთ სამუშაო პროცესის მიმდინარეობისას;
- გამოიყენეთ არანაკლებ 70%-იანი ალკოჰოლის შემცველი ხელის საწმენდი საშუალებები იმ შემთხვევაში, თუ ვერ ახერხებთ ხელის დაბანას და გაშრობას. გახსოვდეთ, რომ ხელის დაბანა საპნითა და წყლით არის უპირატესი;
- დახველების და დაცემინების დროს მიიფარეთ სუფთა ხელსახოცი ან იდაყვში მოხრილი მხარი. გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცი კი გადააგდეთ ურნაში;

მოერიდეთ ხელებით თვალებზე, ცხვირზე და პირზე შეხებას. მუშაობის პერიოდში უზრუნველყავით თმის შეკვრა/მჭიდროდ დამაგრება, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს თმების სახის ზედაპირთან შეხება.

**ზოგადი რეკომენდაციები ევროპული სკოლის სასადილოსათვის**

- რიგში დგომისას აუცილებელია, რომ დაცულ იქნეს უსაფრთხო დისტანცია;

- საკვების მიღების წინ დაცულ უნდა იქნეს ჰიგიენა წყლით და საპნით (საკვების მიღების წინ სანიტაიზერით ხელის დამუშავება არ არის რეკომენდირებული);
- სასადილოში არსებული ყველა ონკანის გამართული მუშაობის რეჟიმი სრულად უნდა იქნეს დაცული;
- სასადილოს შესასვლელთან ახლოს, შიდა სივრცეში ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფუნქციონირებისთვის გამართული ხელსაბანები ან/და სანიტაიზერები;
- უნდა გაკონტროლდეს სასადილოს ვიზიტორთა რაოდენობა;
- დეზობარიერი უნდა განთავსდეს შესასვლელში, შესაბამისი სავალდებულო ნიშნის მითითებით;
- სალაროსთან უნდა დაამონტაჟდეს დამცავი გამჭვირვალე ბარიერი - მომხმარებელთან პირდაპირი კონტაქტის თავიდან არიდების მიზნით;
- სამუშაო ადგილზე უზრუნველყოფილი უნდა იყოს ხელის პერიოდული დეზინფექციისთვის საჭირო სულ მცირე, 70% ალკოჰოლის შემცველი ხელის დასამუშავებელი ხსნარის ან ანალოგიური ეფექტის მქონე სხვა სადეზინფექციო ხსნარის განთავსება;
- უპირატესობა უნდა მიენიჭოს უნაღლო ანგარიშსწორებას.
- სასადილოში უზრუნველყოფილი უნდა იყოს მაგიდების და დასაჯდომი ადგილების განლაგება შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:
  - მაგიდებს შორის დაიცავით უსაფრთხო მანძილი, არანაკლებ 2 მეტრისა;
  - ერთ მაგიდასთან განთავსებულ პირებს შორის უზრუნველყოფილი უნდა იყოს არანაკლებ 1 მეტრიანი დისტანცია;
  - ერთი ადამიანის განთავსებისთვის საჭირო ფართობი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 1.8 მ<sup>2</sup>-ს.
  - სკამის საზურგეებს შორის მანძილი არანაკლებ 1 მეტრი;
  - ერთ მაგიდასთან მოათავსეთ არა უმეტეს 6 პირისა;
  - იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება 2 მეტრიანი უსაფრთხო დისტანციის დაცვა, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას დროებითი დამცავი ბარიერი.
- სასადილო უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბუნებრივი ვენტილაციით. თუ ამის შესაძლებლობა არ არის გამოიყენებული უნდა იყოს ხელოვნური ვენტილაცია, გარედან შემოსული ჰაერის მომატებული კონცენტრაციით, ცირკულაციითა და გარეთ გატანით. უნდა დაწესდეს საინჟინრო კონტროლი მის გამართულ მუშაობაზე;
- დასაქმებულები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ, სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, აუცილებელი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (ხელთათმანები, პირბადეები, დამცავი ფარები/სათვალები, წინსაფრები);
- ყოველი პირის გამასპინძლების შემდგომ უნდა მოხდეს მაგიდების წმენდა სადეზინფექციო ხსნარის გამოყენებით;
- ყოველი სამუშაო დღის შემდგომ უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამუშაო სივრცის სველი წესით დალაგება სადეზინფექციო საშუალებების გამოყენებით;
- უზრუნველყოფილი უნდა იყოს სპეც.ტანსაცმლის ცენტრალიზებული რეცხვის შესაძლებლობა;
- ნახმარი ხელსახოცების შეგროვება უნდა მოხდეს სპეციალურად ამ მიზნისთვის განკუთვნილ ტომარაში ან სხვა თავდახურულ მოცულობაში;
- ამ წესის მოთხოვნების საილუსტრაციოდ, სავალდებულოა მაგიდების განლაგებისა და დისტანციის მარკირება, შესაბამისი აღნიშვნებით.

## **ჭურჭლის ხელით რეცხვისას დაცული უნდა იქნეს შემდეგი პროცედურები**

- სამზარეულოს ჭურჭლის რეცხვა და შრობა უნდა ხორციელდებოდეს სპეციალურად გამოყოფილ ზონაში:
  - ჭურჭელი მექანიკურად უნდა გათავისუფლდეს საჭმლის ნარჩენებისგან;
  - გაირეცხოს არანაკლებ 40 C ტემპერატურის წყლითა და სარეცხი საშუალებების გამოყენებით პირველ სამზარეულოს ნიჟარაში;
  - გაირეცხოს ხელმეორედ არანაკლებ 40 C ტემპერატურის წყლითა და უფრო ნაკლები რაოდენობის სარეცხი საშუალების გამოყენებით მეორე სამზარეულოს ნიჟარაში;
  - გაივლოს არანაკლებ 65 C ტემპერატურის ცხელი გამდინარე წყლით;
  - დაიწრიტოს და გაშრეს საწრეტზე;
- წვრილმანი ინვენტარი – დაფები, ნიჩბები, სათქვეფები და სხვა, ცხელი წყლით გარეცხვის შემდეგ უნდა გაშრეს. სამზარეულოს ჭურჭელი ირეცხება ცხელ წყალში სარეცხი საშუალებებით. ჭურჭელი უნდა გაივლოს არანაკლებ 65 C -იან ცხელ წყალში და დაიწრიტოს;
- ხელით რეცხვისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს სამგანყოფილებიანი ნიჟარები სასადილო ჭურჭლისათვის და ორგანოფილებიანი შუშის ჭურჭლისა და სასადილო მოწყობილობებისათვის. დასაშვებია, შეზღუდული ასორტიმენტის ორგანიზაციებში სასადილო ჭურჭლისა და მოწყობილობების რეცხვა ორგანოფილებიან სამზარეულოს ნიჟარებში;
- სარეცხ განყოფილებებში კედელზე უნდა გაიკრას ინსტრუქცია ჭურჭლისა და ინვენტარის რეცხვის წესების შესახებ, გამოყენებული სარეცხი და სადეზინფექციო საშუალებების კონცენტრაციების მითითებით.

### **სასადილოში მომუშავე პირთა ვალდებულებები**

- დაიცავით ჰიგიენის წესები თქვენს სამუშაო ადგილზე;
- სამუშაოების შესრულებისას გამოიყენეთ სრულად ინდივიდუალური დაცვის საშუალებები;
- სამუშაოს დამთავრებისას სადეზინფექციო საშუალებებით დაასუფთავეთ სამუშაო ადგილები და ის ხელსაწყოები, რომელსაც იყენებთ სამუშაო პროცესის მიმდინარეობისას;
- ხელის ჰიგიენა ჩაიტარეთ ხშირად;
- გამოიყენეთ სპირტის შემცველი ხელის საწმენდი საშუალებები იმ შემთხვევაში, თუ ვერ ახერხებთ ხელების დაბანას და გაშრობას. გახსოვდეთ, რომ ხელების დაბანა საპნითა და წყლით არის უპირატესი;
- მოერიდეთ ხელებით თვალებზე, ცხვირზე და პირზე შეხებას. მუშაობის პერიოდში უზრუნველყავით თმის შეკვრა/მჭიდროდ დამაგრება, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს თმების სახის ზედაპირთან შეხება (შესაძლებელია ჩაჩის, ან სპეციალური თავსაბურავის გამოყენება);
- ხელთათმანების შეცვლა მოახდინეთ ხშირად. შეცვლისას აუცილებელია ხელების დაბანა. ხელთათმანები არ განიხილოთ როგორც ხელების დაბანის შემცველი საშუალება. ხელების დაბანა უფრო ეფექტური დამცავი ბარიერია ინფექციისთვის, ვიდრე ერთჯერადი ხელთათმანი;

ხელთათმანები შეცვალეთ არასასურსათო პროდუქტთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარების შემდეგ, მაგალითად ხელით კარების გახსნა / დახურვა და ყუთების დაცლა.

დანართი N4

შპს „ევროპული სკოლა“

საქართველო, ქ.თბილისი,

მის: ი. სხირტლაძის 2

ს/კ : 205172917

ტელ.: (+995 32) 239 59 64

COVID-19 პანდემიის პირობებში

მზადყოფნისა და რეაგირების


გეგმა

## I. რისკების შეფასება

წინამდებარე გეგმის შედგენას წინ უძღოდა რისკების შეფასების დეტალური პროცესი. მიღებული შედეგები შედარებული იქნა საქართველოს მთავრობის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 4 აპრილის ბრძანება №01-149/ო-ს მიხედვით „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ შემუშავებულ ახალი კორონავირუსით (SARS, SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებულ ზოგად რეკომენდაციებთან და დადგინდა, რომ შპს „ევროპული სკოლის“ მიერ განხორციელებული სამუშაოები განეკუთვნება COVID-19 ით თანამშრომელთა ინფიცირების **საშუალო რისკის დონეს**:

ინფიცირების საშუალო რისკის სამუშაო მოიცავს ისეთ სამუშაო ადგილებს, სადაც თანამშრომლებს მოეთხოვებათ ხშირი ან/და მჭიდრო კონტაქტის ქონა (2 მეტრზე ნაკლები). აღნიშნული რისკის დონის გათვალისწინებით კომპანია შეიმუშავებს გეგმაში გაწერილ კონტროლის მექანიზმებს და შეეცდება რისკის დონე დაიყვანოს დაბალი რისკის დონემდე. რისკების კონტროლის მექანიზმების შემუშავება განხორციელდა საერთაშორისოდ აღიარებული და შრომის ინსპექციის დეპარტამენტის მიერ რეკომენდებული კონტროლის მექანიზმების იერარქიის მიხედვით:

კონტროლის მექანიზმების იერარქია:



## II. კონტროლის მექანიზმები

საფრთხეებისა და რისკების საერთაშორისო ნორმებში მითითებული იერარქიიდან პირველი ორი საფეხურის - «გამორიცხვა» და «ჩანაცვლება» მსოფლიო პანდემიის პირობებში დაავადებასთან მიმართებაში შეუძლებელია. ამიტომ COVID-19-ის გავრცელების რისკების სამართავად შპს „ევროპული სკოლა“ იყენებს დარჩენილ სამ საფეხურს: «საფრთხის იზოლირება», «პროცედურები», «ინდივიდუალური დაცვის საშუალებები».

**საფრთხის იზოლირება. ჰიგიენურ-ტექნიკური კონტროლის ღონისძიებები**

### 1. ვირუსის გავრცელების რისკ ჯგუფის წარმომადგენელი პირების ფიზიკური იზოლირება დანარჩენი თანამშრომლებისგან

რისკ-ჯგუფში შედის ყველა დასაქმებული, მოსწავლე, ვიზიტორი, თუ:

- მათ დატოვეს ვირუსის გავრცელების ქვეყნები ბოლო 14 დღის განმავლობაში;
- იმყოფებოდნენ დახურული კარანტინის ზონად გამოცხადებულ საქართველოს ტერიტორიულ ერთეულებში, ან კონტაქტი ჰქონდათ პირებთან, რომლებიც ამ ერთეულებში ცხოვრობენ (ან დროებით იმყოფებოდნენ);
- ბოლო 14 დღის განმავლობაში მჭიდრო კონტაქტში იმყოფებოდნენ კორონავირუსის მატარებელ პირთან/პირებთან (მათ უნდა გაიარონ თვითიზოლაცია/კარანტინი სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესით);
- აღნიშნებათ რესპირატორული ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომები (ხველა, ტემპერატურა, ცემინება, სუნთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე და ა.შ.);
- მიეკუთვნებიან COVID-19-ით დაინფიცირებისა და გართულებების მაღალი რისკის მქონეებს: 70 წელს გადაცილებული, აგრეთვე, ქრონიკული დაავადებების (გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, დიაბეტი, ბრონქული ასთმა და სასუნთქი ორგანოების სხვა დაავადებები) მქონე პირები.

### 2. ტემპერატურის დისტანციურად გაზომვა

კომპანიის ტერიტორიაზე (სამუშაო სივრცეში) შემომსვლელი ყველა პირი ვალდებულია გაიაროს 37 გრადუსზე მაღალი ტემპერატურის აღმოჩენის შემთხვევაში, არ უნდა იქნას დაშვებული სამუშაო სივრცეში. **თანამშრომელი, მოსწავლე როელიც მუდმივად მატარებელია 37 გრადუსი ტემპერატურის ვალდებულია წარადგინოს ექიმის ცნობა.**

### 3. კომპანიის სამუშაო სივრცის სრული და რეგულარული დეზინფექცია

სანიტარული კვანძები უნდა დალაგდეს ყოველი შესვენების შემდეგ. საკლასო ოთახები უნდა დალაგდეს სველი წესით ყოველი დღის ბოლოს. ხშირად შეხებად ზედაპირებს უნდა ჩაუტარდეს 3 საათიანი შუალედით დეზინფექცია.

### 4. სამუშაო სივრცის ჰაერაცია/ვენტილაცია

კომპანიაში არსებული სავენტილაციო სისტემის მეშვეობით მოხდება სრული სამუშაო სივრცის პერიოდული ვენტილაცია სადილის დროს ან შესვენებისას. იმ ადგილებში, სადაც შესაძლებელია ბუნებრივი ვენტილაცია, მოხდება კარების / ფანჯრების გაღება და ჰაერის განიავება. ყოველი შესვენების დროს აუცილებლად უნდა მოხდეს საკლასო ოთახების განიავება.

### 5. სადეზინფექციო საშუალებების ხელმისაწვდომობა

კომპანიის სამუშაო სივრცეებში ხელმისაწვდომია დეზობარიერები, ხელის სადეზინფექციო საშუალებები, ზედაპირების სადეზინფექციო, ხელთათმანები, ნიღბების მარაგი. სკოლა ვალდებულია დანიშნოს ამ ყველაფრის გაცემაზე და შენახვაზე პასუხისმგებელი პირი. ადგილი სადაც შეინახება ხელის სადეზინფექციო (არანაკლებ 70% ალკოჰოლის შემცველობა) აუცილებელია ამ ადგილს ჰქონდეს ბუნებრივი ან ხელოვნური ვენტილაცია. რათა თავიდან იქნას აცილებული მისი აალება.

### 6. ნარჩენების მართვა

ობიექტებზე, გამოყოფილ ადგილებზე განთავსდება სამედიცინო ნარჩენების ურნა/ურნები (აუცილებლად დახურული), შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშანით სადაც მოხდება გამოყენებული პირბადეების, ხელსახოცების და ხელთათმანების განთავსება. ნარჩენების გატანა აუცილებლად უნდა მოხდეს ხელთათმანით ამ საქმისთვის გამოყოფილი სპეციალური პირის მიერ.

## 7. სასადილო სივრცე

სასადილო სივრცესთან ახლოს განთავსებულია ხელსაბანი, სადეზინფექციო ხსნარის დისპენსერები. გამოიკრას ხელის დაბანის ინსტრუქცია და განთავსდეს ხელის გასამშრალელებელი ერთჯერადი ხელსახოცები.

საკვების მიღების დროს პერსონალმა და მოსწავლეებმა დაიცვას 1 მეტრიანი დისტანცია. აუცილებელია მონიშნოს ადგილები რიგში დგომისას დისტანციის დაცვისთვის. საკვების მიღების წინ დაიბანეთ ხელი წყლით და საპნით.

## III. პროცედურები - ადმინისტრაციული კონტროლის ღონისძიებები

1. დაუყოვნებლივ დამტკიცდეს ინფექციური დაავადებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების წინამდებარე გეგმა.

გეგმა გაუზიარდეს მენეჯმენტის ყველა წევრს. გეგმაში გაწერილი მოთხოვნები და რეკომენდაციები გაეცნოს ყველა თანამშრომელს ინსტრუქტაჟის სახით.

2. მუდმივად განახლდეს სამუშაო პრაქტიკა და სპეციფიკა იმ თვალსაზრისით, რომ მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი თანამშრომელთა თავშეყრა და მჭიდრო კონტაქტი.

გადაიხედოს სამუშაო სივრცეების და თანამშრომელთა არსებული განლაგება. უზრუნველყოფილი იქნას თანამშრომლების სამუშაო ადგილებს შორის მინიმუმ 2 მეტრიანი დისტანცია, ან მოეწყოს განჭვირვალე ბარიერები თანამშრომლებს შორის.

3. შემუშავდა არსებული საგანგებო სიტუაციისას თანამშრომელთა ქცევის სავალდებულო წესები.

**დანართი 37** -ში მოცემულია თანამშრომელთა და მოსწავლეთა ქცევის სავალდებულო წესები. აღნიშნული წესები გაუზიარდეს ყველა დასაქმებულს ინსტრუქტაჟის სახით.



#### 4. მთელს სამუშაო სივრცეში განთავსდეს სავალდებულო / საინფორმაციო ნიშნები

სამუშაო სივრცეში (დერეფნები, კარებები, კიბის უჯრედები, შესასვლელები, ა.შ.) განლაგდეს სავალდებულო / საინფორმაციო მიმითითებელი ნიშნები, რომლებიც შეახსენებს დასაქმებულებს შემდეგ საკითხებს:

- ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებისა და მისი მოცილების წესი
- პირადი ჰიგიენის (ხელის დაბანვა და სადეზინფექციო ხსნარით დამუშავება) წესები
- დისტანცირება (მინიმუმ 2 მეტრიანი დისტანციის დაცვა სხვა დასაქმებულებთან);
- ფიზიკური კონტაქტის აკრძალვა (გადახვევა, გადაკოცნა, ხელის ჩამორთმევა, ა.შ.);
- საკონტაქტო ინფორმაცია (ვის უნდა დაუკავშირდნენ სიმპტომების აღმოჩენის შემთხვევაში)

#### 5. ინდივიდუალური დაცვის საშუალებები

მომარაგებულ იქნას საჭირო ინდივიდუალური დაცვის საშუალებები - პირბადეები, ერთჯერადი ხელთათმანები, ხელის სადეზინფექციო ხსნარები. აღნიშნული საშუალებები განთავსდეს ტერიტორიაზე რამდენიმე ხელმისაწვდომ ადგილას, რომელიც ეცოდინება ყველა დასაქმებულს და აღინიშნება შესაბამისი მიმითითებელი ნიშნით.

ინსტრუქტაჟის ჩატარებისას ყველა თანამშრომელს გაეცნოს აღნიშნული ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სწორი გამოყენების წესები.

ზემოთ ჩამოთვლილი კონტროლის მექანიზმების გატარების შემდეგ კომპანია რაც შეიძლება მალე მოახდენს რისკების ხელახალ შეფასებას.

#### IV. ტემპერატურის დაფიქსირებისას რეაგირების გეგმა

თერმოსკრინინგისას ცხელების - 37.0C ან 37.0C -ზე მეტი ტემპერატურის დაფიქსირების შემთხვევაში, პირი ექვემდებარება ტემპერატურის გადამოწმებას ვერცხლისწყლის თერმომეტრით 15 წუთიან შუალედში, მოსაცდელ სივრცეში; ვერცხლისწყლის თერმომეტრი სავალდებულოა დამუშავდეს სადეზინფექციო ხსნარით ყოველი გამოყენების შემდეგ; სიცხის გადამოწმების შემდეგ 37.0C ან 37.0C -ზე მეტი ტემპერატურის დადასტურების შემთხვევაში: ნებისმიერი პირი არ დაიშვება სკოლაში და ვალდებულია მიმართოს ოჯახის ექიმს; მოსწავლეს მოარგეთ პირბადე და განათავსეთ წინასწარ მომზადებულ საიზოლაციო ოთახში, დაუყოვნებლივ დაუკავშირდით

მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, რომელიც ვალდებულია მოსწავლის სკოლიდან დროულად გაყვანაზე;

- მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის გონივრულ ვადაში სკოლაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სკოლა ვალდებულია დაუკავშირდეს 112-ს შესაბამისი სამედიცინო სერვისის მისაღებად, გადამისამართების მიზნით; საიზოლაციო ოთახში მყოფ ყველა პირს (მათ შორის, მოსწავლეს) უნდა ეკეთოს პირბადე, დაცული უნდა იყოს 1 მეტრიანი დისტანცია და მოსწავლეები არ უნდა რჩებოდნენ მეთვალყურეობის გარეშე; დაფიქსირებული ცხელების შემთხვევები უნდა აღირიცხოს შესაბამის ფორმაში (დანართი N37.1). დღის განმავლობაში დაწესებულებაში მყოფი ნებისმიერი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში, გადაამოწმეთ ტემპერატურა და იმოქმედეთ შესაბამისად;

ი დაუშვებელია რესპირატორული ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომების მქონე (ხველა, ცემინება, სურდო, სუნთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე და ა.შ.) პირების (მასწავლებლების, თანამშრომლებისა და მოსწავლეების) დაშვება დაწესებულების შენობაში; რესპირატორული სიმპტომების (ხველა, ცემინება, სურდო, სუნთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე და ა.შ.), ან ცხელების სასწავლო პროცესის დროს გამოვლენის შემთხვევაში, მოსწავლე (პირბადით) დროებით გადაყვანილი უნდა იყოს საიზოლაციო ოთახში კანონიერი წარმომადგენლის მოკითხვამდე; მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის გონივრულ ვადაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, დაწესებულება ვალდებულია დაუკავშირდეს 112-ს შესაბამისი სამედიცინო სერვისის მისაღებად გადამისამართების მიზნით; სკოლაში მოსწავლის, მასწავლებლის, თანამშრომლის გამოუცხადებლობის შემთხვევაში ადმინისტრაცია/კლასის დამრიგებელი ვალდებულია, დაადგინოს და წერილობით დააფიქსიროს გაცდენის მიზეზი; სკოლაში ცხელების, რესპირატორული სიმპტომების დაფიქსირების ყველა შემთხვევის შემდგომ მოსწავლეების, მასწავლებლებისა და თანამშრომლების სასწავლო დაწესებულებაში დაშვება ხდება პჯრტესტირების დასკვნის საფუძველზე (COVID-19 -ით ინფიცირების არ არსებობის შემთხვევაში); მოსწავლის/თანამშრომლის COVID-19-ით ინფიცირების დადასტურების შემთხვევაში, ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება, მათ შორის კონტაქტების მოძიებისა და კარანტინის/თვითიზოლაციის თაობაზე გადაწყვეტილებების მიღება ხდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურების რეკომენდაციების შესაბამისად

## COVID-19 საგანგებო მდგომარეობის პერიოდში კომპანიის სამუშაო სივრცეში (ტერიტორიაზე) ქცევის წესები

- დაიცავით ჰიგიენის წესები თქვენს სამუშაო ადგილზე;
- სამუშაო პროცესი განახორციელეთ დამსაქმებლის/შრომის უსაფრთხოების მენეჯერის მიერ განსაზღვრული საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმის შესაბამისად;
- მისაღმებისას არ ჩამოართვათ ხელი ერთმანეთს და მოერიდეთ სხვებთან კონტაქტს (შეხებას და სხვა);
- მოერიდეთ თავშეყრას, დაიცავით რეკომენდაცია უსაფრთხო დისტანციის დაცვით (არანაკლებ 2 მეტრისა);
- სამუშაოების შესრულებისას გამოიყენეთ სრულად ის ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, რომელსაც გაწვდით დამსაქმებელი;
- სამუშაოს დაწყებისა და დამთავრებისას სადეზინფექციო საშუალებებით დაასუფთავეთ სამუშაო ადგილები და ის ხელსაწყოები, რომელსაც იყენებთ სამუშაო პროცესის მიმდინარეობისას;
- ხელის ჰიგიენა ჩაიტარეთ დამატებით აუცილებლად:
  1. საკვების მიღებამდე და მიღების შემდეგ.
  2. დახველების ან დაცემინების შემდეგ.
  3. თანხის კუპიურებთან და მონეტებთან ხელით შეხების შემდეგ;
  4. საპირფარეშოთი სარგებლობის შემდეგ
- გამოიყენეთ სპირტის შემცველი ხელის საწმენდი საშუალებები იმ შემთხვევაში, თუ ვერ ახერხებთ ხელების დაბანას და გაშრობას. გახსოვდეთ, რომ ხელების დაბანა საპნითა და წყლით არის უპირატესი;
- დახველების და დაცემინების დროს მიიფარეთ სუფთა ხელსახოცი ან იდაყვი. გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცი კი გადააგდეთ ურნაში;
- მოერიდეთ ხელებით თვალებზე, ცხვირზე და პირზე შეხებას. მუშაობის პერიოდში მჭიდროდ დაიმაგრეთ თმა, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს თმისა და სახის შეხება;
- გახსოვდეთ, რომ არ არის სასურველი ლითონის საყურეების, ბეჭდების და თმის ჟელეს გამოყენება; აუცილებელია თმა იყოს შეკრულ მდგომარეობაში.
- თუ საქმიანობა ითვალისწინებს ფულის ნიშნებთან და პროდუქციასთან ურთიერთობას, აუცილებლად გამოიყენეთ სხვადასხვა ხელთათმანი. შესაძლებლობის შემთხვევაში ეს საქმიანობა განაწილდეს ორ პირზე.
- აკრძალულია საკუთარი პირადი დაცვის საშუალებების, ტანსაცმლის, პირადი ნივთების, მობილური ტელეფონის *ერთმანეთისთვის თხოვება* და გაცვლა.

